სიახლე ფერმერებისათვის

თხილის ასაკრეფი აპარატი

გვ-2

ოზურგეთის ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობის სალოტბარო სკოლის განცხადება

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონული წარმომადგენლობა აცხადებს მოსწავლეთა ახალი ნაკადის მიღებას ოზურგეთის ქართული ტრადიციული სიმღერა-გალობის სალოტბარო სკოლაში, სადაც მსმენელები უფასოდ შეისწავლიან ქართულ ტრადიციულ გალობასა და ხალხურ სიმღერებს.

სწავლება განხორციელდება სპეციალური პროგრამის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ.

სკოლის დამთავრების შემდეგ წარჩინებული მოსწავლეები ჩაირიცხებიან ქ. თბილისში გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც სწავლება უფასოა.

ასევე მოხდება სკოლასთან არსებული ბავშვთა მუდმივმოქმედი ანსამბლის ახალი ნაკადით შევსება, სადაც მიიღებიან 6-დან 15 წლამდე ასაკის მოსწავლეები.

სალოტბარო სკოლაში მიიღებიან მსურველები 15 წლის ასაკიდან და ზემოთ. სწავლების ხანგრძლივობა 2 წელია. სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი.

განცხადების მიღება იწარმოებს 2015 წლის 15-დან 30 სექტემბრამდე.

სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდან შემდეგ მისამართზე: ქ. ოზურგეთი, ნიკო ნიკოლაძის ქ. №18.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ ნომრებზე:

595 148282; 593 341071; 599 183773.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №35 (10125), 7 სექტემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ოზურგეთში მდინარე სკუჩას კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

„ალიონი“. ქალაქის მერმა, ბეგლარ სიორიძემ ქალაქის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მდინარე სკუჩას კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები მოინახულა.

მდინარე სკუჩა ქალაქის ცენტრში მიედინება და ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს. მდინარის კალაპოტი წლების მანძილზე არ გაწმენდილა, რამაც გრუნტის დაგროვება გამოიწვია, რის შედეგადაც ახლო მდებარე საცხოვრებელი ეზოები იტბორებოდა.

გაწმენდითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, დატბორვის საფრთხე მდინარესთან ახლო მდებარე 26 მაისის, სახოკიას, ერისთავისა და გრიბოედოვის ქუჩის მცხოვრებლებს აღარ ემუქრებათ. სამუშაოებს შპს "ჰორიზონტი" ახორციელებს.



„ციხის უფროსმა გიორგი ვეკუამ ჩემს მეუღლეს ჩემს „რეზბალნიცაზე“ გადაყვანაში 1200 ლარი მოთხოვა“.

ნუგზარ ასათიანი

რატომ მისცა შენიშვნა მოსამართლე დავით მამისაშვილმა გიორგი ვეკუას ადვოკატს სოსო ჯალაღანიას

თუ რა ხდებოდა ბათუმის სასჯელაღსრულების №3 დაწესებულებაში წინა ხელისუფლების დროს, ამის შესახებ პირველად შარშან, თებერვალში ქ. ბათუმში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ყოფილ პოლიტპატიმრებთან შეხვედრაზე, ინტერვიუს ჩაწერისას მოვისმინე.

2011 წლის 22 მაისს, ქ. ბათუმში, ერას მოედანზე მრავალათასიანი მიტინგის მოწყობის ორგანიზატორები **ანზორ სოლომონიძე, ხვიჩა გამარჯობაძე, ცოტნე ანანიძე, დიმიტრი ჭეიშვილი, გოჩა მუხაშავრია და დავით ფარტენაძე** დააკავეს. მათთან ერთად ოზურგეთელი **ვახტანგ სიორიძეც** დააკავეს.

აღნიშნულმა პირებმა ვრცელ ინტერვიუში მკითხველებს მოუთხრეს, თუ როგორ გაუსაძლის პირობებში იმყოფებოდნენ ისინი საპატიმროში. (გაზეთი „ალიონი,“ №5, 2014 წ.)

ანზორ სოლომონიძემ ასე გამოხატა სათქმელი:- „**უდანაშაულო კაცს, სამშობლოს სიყვარულისთვის გიჭერენ და გიმეტებენ მოსაკლავად, ამაზე მეტი შეურაცხყოფა რა უნდა იყოს**“

ცოტნე ანანიძე :–„ **სამოქალაქო საზოგადოების უფლებადამცველი ორგანიზაციების იურისტების მხრიდან ჩვენი საქმის ანალიზის შედეგად პრაქტიკულად დადგინდა, რომ საქმე იყო ჩვენს მიმართ პოლიტიკური მოტივაციით დაკავება და სისხლის სამართლის პასუხისგებაში განზრახ მიცემა.**“

ვახტანგ სიორიძე: –„**თავდაპირველად შსს აჭარის პოლიციის მთავარ სამმართველოში სასტიკად მცემა ინსპექტორ-გამომძიებელმა ერვერ მელაძემ (იგი დღესაც მუშაობს სიტემაში) მირტყამდა თავში, გვერდებში. მუშტი თვალშიც ჩამარტყა. ნაცემი ჯერ „კპზ“–ში გადამიყვანეს, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მომისაჯეს და შემდეგ ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადამიყვანეს. ციხეში 6-კაციან საკანში 12 ვისხედით. ღამით მორიგეობით გვეძინა. ყოველდღიურად, შემოწმების დროს დერეფნებში ჯგუფის წევრები გვცემდნენ რეზინის ხელკეტებით. ციხეში შეყვანისას, ციხის რეჟიმის თანამშრომელმა ირაკლი კონცელიძემ განახორციელა ზეწოლა, ხოლო აჭარის მთავარი პროკურორის მოადგილე ზვიად ფხაკაძე მემუქრებოდა: – თუ „დანაშაულს“ არ აღიარებ, 11 წელი ვერ ნახავ შენს მეუღლეს და ვერც შენს შვილებსო! .. მელაძის მიერ ცემის გამო გვერდებში წყალი ჩამიდგა და საჭირო გახდა ჩემი „რეზბალნიცაზე“ გადაყვანა. ბათუმის ციხის უფროსმა გიორგი ვეკუამ ჩემს მეუღლეს ჩემს „რეზბალ-ნიცაზე“ გადაყვანაში 1200 ლარი მოთხოვა. ოჯახს თანხა არ გააჩნდა. 15 დღე ვიყავი ცუდად. შემდეგ სახალხო დამცველის აჭარის წარმომადგენელი გიორგი ჩარკვიანი ჩაერია საქმეში და „რეზბალნიცაზე“ გადამიყვანეს...**“

2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში დასახელებული პირები საპყრობილეებიდან გაათავისუფლეს.

ამჟამად ბათუმის მესამე საპყრობილის ყოფილი დირექტორი გიორგი ვეკუა და მისი მოადგილე ზაზა ჯიქია ათეულობით პატიმრის არაადამიანურ, დამამცირებელ და სასტიკად მოპყრობაში თავად არიან ბრალდებულები; მათ მიმართ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 144 -3 პრიმა მუხლითაა აღძრული. პროცესი შარშან, წლის ბოლოს დაიწყო. გიორგი ვეკუა 15 ათასი ლარი გირაოს საფუძველზე მოსამართლე დავით მამისეიშვილმა გაათავისუფლა, ხოლო მოსამართლე თამარ ბეჟანიშვილმა კი გირაოს - 12 ათასი ლარის

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ეიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სიახლე ფერმერებისთვის

ალიონი. დღეს გურიაში თხილის კულტურა წამყვან ადგილს იკავებს. ბუნებრივია აქტუალურია მისი მოვლა, მოსავლის აღების თემები. ასეულობით ფერმერს თხილი რამდენიმე ჰექტარზეც კი აქვთ გაშენებული.

თუ როგორ ინერგება მექანიზაცია თხლის მოსავლის შეგროვებაგარჩევისათვის, ამ მიზნით ოზურგეთის ფერმერული განვითარების ცენტრის დირექტორ შალვა შავიშვილთან ერთად სოფ. მაკვანეთში თემების მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს ნუგზარ კალანდარიშვილს ვესტუმრეთ და თხილის პლანტაციაში ახალი ტექნიკის მუშაობას გავეცანით.

ნუგზარ კალანდარიშვილი რამდენიმე წელია თხილის შესაგროვებლად იტალიურ ბენზოძრავიან აპარატ „ციფარელს“ იყენებს. იგი წონით საწვავთან ერთად 17 კილოგრამს იწონის და ფერმერი მას ზურგზე მოკიდებული ამუშავებს.

ნუგზარმა გვითხრა, რომ ამ აპარატით დღეში 200 კგ. თხილი მოუგროვებია, მაგრამ ჰყავდა დამხმარე, რომელსაც თხილი პლანტაციიდან ტრანსპორტამდე მიჰქონდა. საწვავის ხარჯი 4 ლიტრი იყო.

პლანტაციაში იგი უბრალო თხილის შემგროვებელსაც იყენებს (ღირს 450 ლარი), მაგრამ საკმაო ფართობი აქვს და გადაწყვიტა თხილის ასაღები და სარჩევი აპარატი („ფაკმა“ იტალიური წარმოებისაა) შეეძინა. ეს საკმაოდ ძვირადღ-ირებული დანადგარია და მას გადასაადგილებლდა და მუშაობისთვის ძლიერი ტრაქტორიც ესაჭიროება. მისი წარმადობა საათში 400 კილოგრამია (თხილის მოსავლის აღება, გარჩევა, ტომრებში ჩაყრა) და 3 დამხმარე სჭი-რდება.

ოზურგეთის ფერმერული განვითარების ცენტრის დირექტორი **შალვა შავიშვილი** ამბობს, რომ ისინი მზად არის სათანადო კონსულტაციების გაუწიონ ფერმერებს როგორც კონკრეტული კულტურის გაშენებამოყვანის, ასევე მექანიზაციის დანერგვის საქმეში. კონკრეტული მაგალითი კი მაკვანეთში გვაქვს, როდესაც ხელით მძიმე შრომას ტექნიკა ენაცვლება, რომელიც სწრაფად, უდანაკარგოდ და ხარისხიანად (უხარისხო თხილს დანადგარი აცალკევებს) მაღალი მოსავალი მიიღონ.

ეს დანადგარი არა მარტო კონკრეტულ ფერმერს, არამედ სხვა სოფლების ფერმერებსაც ხელს შეუწყობს მოსავლის აღებაში.

ლეიბორისტები აპროტესტებენ

ალიონი. 4 სექტემბერს, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციამ საპროტესტო აქცია გამართა გასართობ ცენტრ „ციცინათელასთან.“ ისინი გასართობ ცენტრში ატრაქციონებზე გაძვირებულ ფასებს აპროტესტებდნენ.

–სადაც გავაპროტესტეთ მასობრივი გაძვირების, ეკონომიკური და სოციალური სიდუხჭირის ფონზე გასართობ ცენტრში ატრაქციონებზე გაძვირებული ფასები და ბავშვების ხარჯზე მილიონების შოვნა. ბიძინა ივანიშვილი დაპირდა საქართველოს ოცნებების ასრულებას და დღეს ბავშვებს საოცნებოდ და სანატრელად გაუხადა ატრაქციონები, გართობა. გაძვირებული ფასების გამო კი უპირველესად ზარალდება საშუალო და ღარიბი მოსახლეობა, რომლებმაც ვერ შესძლეს ამ ზაფხულს ბავშვების გახარება და გართობა. ნაცვლად იმისა, რომ ბავშვებისთვის უფასო იყოს კარუსელები გაძვირებული ფასების გამო მშობლები ვერც კი ახერხებენ შვილების კარუსელზე დასმას– განაცხადა ლეიბორისტული პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **დავით მამალაძემ.**

„ჭადრების ბაღში“ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ალიონი. ქალაქი „ოზურგეთობისთვის“ ემზადება. „ჭადრების ბაღი“ განახლდება. ე.წ. „სარკოფაგის“ ნაცვლად ქვაფენილები დაიგება, 20 ახალი სკამი დაიდგმება, განახლდება განათება და „ოზურგეთელობაზე“ მოსულ სტუმრებს ბაღი განახლებული დახვდება– უთხრა გაზეთ „ალიონს“ ქ. ოზურგეთის მერმა ბეგი სიორიძემ.

ე.წ. „სარკოფაგი“ წინა ხელისუფლებამ „შექმნა“. წინა პრეზიდენტის სტუმრობის წინ „ჭადრების ბაღში“ სამუშაოებს ვერ ასწრებდნენ და „ფორსირებულად“ სამშენებლო ნარჩენებით ამოავსეს ერთ-ერთი შადრევნის აუზი, რომლის თავზეც მიწაყრილი მოაწყვეს და „სარკოფაგის“ სახე მისცეს.

როგორც ერთ-ერთმა მოქალაქემ გვითხრა, სასიამოვნოა, რომ ქალაქის მთავარი ბაღი პირვანდელ ფუნქციას დაიბრუნებს.

„ოზურგეთობის“ გამართვას 15 სექტემბრისთვის გეგმავენ.

ასკანობაზე



„2001 წლის 30 აგვისტოს, ასკანის ქრისტეს ამაღლების სახელობის ტაძრის კურთხევის დღეს, რომელიც აშენდა ზაურ ჩხაიძისა და მისი ვაჟების ფინანსური დახმარებით და სოფელ ასკანის მცხოვრებთა მონაწილეობით, ჩხაიძეების მიერ დაწესდა დღესასწაული "ასკანობა", ამ დღეს მოინათლა ბატონ გოჩა ჩხაიძისა და მსოფლიოში ცნობილი ბალერინას – ირმა ნიორაძის მხოლოდშობილი პირმშო – ილია. მას შემდეგ ყოველწლიურად „ასკანობა“იმართება.

30 აგვისტოს, მორიგი „ასკანობა“ გაიმართა. იყო სტუმრები თბილისიდან, აჭარიდან, მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან.„ასკანობას“ ესწრებოდნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე.

ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის კულტურისა სამსახურმა ასკანაში თავი მოუყარა საუკეთესო ანსამბლებს. იყო ტრადიციული შეჯიბრი ფეხბურთში, ცხენოსნობაში, მკლავჭიდში..

ფეხბურთის ფინალში მთისპირელებმა „ასკანობაზე“ 2014 წლის გამარჯვებულებს, ასკანის გუნდს (5:0) სძლიეს, ცხენოსნობაში ოთარ ჭელიძემ გაიმარჯვა (ჩოხატაური, გუთური),მეორე ვალერი ვადაჭკორია იყო (სოფელი ასკანა); მკლავჭიდში ზურაბ დოლიძემ გაიმარჯვა (სოფ. ბახვი).

ამ დღის სიურპრიზი იყო „ასკანელი ძმების“გოჩა, ზურაბ, ჯიმშეთ ჩხაიძეების დედის, ქალბატონ ციალა მეპურიშვილის გამოსვლა სცენაზე. მან „თბილისო“ უმღერა ამ დღის მონაწილეებს.

მოეწყო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა საზეიმო დაჯილდოება.

ასკანისა და მზიანის საბავშვო ბაღებს არემონტებენ

ალიონი. სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში 10 000-10 000 ლარი გამოიყო სოფ. ასკანისა და სოფ. მზიანის საბავშვო ბაღების სარემონტოდ.

სოფ. ასკანის მაჟორიტარი დეპუტატის ილია მამალაძის თქმით, ამ ბაღეს აუცილებლად ესაჭიროებოდათ რემონტი. სარემონტო სამუშაოებს ინდ. მეწარმე „მამია კალანდარიშვილი“ ასრულებს. გამოიცვალა სველი წერტილები, ახლად გაკეთდა სამზარეულო. მიმდინარეობს ბავშვთა საძინებელი ოთახის რემონტი.

გარდა ამისა მოიხრეშა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელი ერთი კილომეტრი გზა და ნაწილობრივ შეკეთდება სოფლის ადმინისტრაციული შენობის სახურავი.

„ციხის უფროსმა გიორგი ვეკუამ ჩემს მეუღლეს ჩემს „რეზბალნიცაზე“ გადაყვანაში 1200 ლარი მოთხოვა“.

რატომ მისცა შენიშვნა მოსამართლე დავით მამისაშვილმა გიორგი ვეკუას ადვოკატს სოსო ჯალაღანიას

საფუძველზე – გიორგი ვეკუას მოადგილე, ზაზა ჯიქია.

განჩინებაში, რომელიც მოსამართლე დავით მამისეიშვილმა გამოიტანა, წერია, რომ **გიორგი ვეკუამ, მესამე საყრობილის ხელმძღვანელმა, ჩატარებულ „ოპერატიულ თათბირზე უკანონოდ დაავალა რეჟიმისა და სხვა განყოფილებების ხელმძღვანელებს პატიმრობაში მყოფი პირების მიმართ გაეტარებინათ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პოლიტიკა, კონკრეტულად კი დაწესებულებაში შესახლებულ პატიმრებს მოქცეოდნენ სასტიკად".**

სასამართლო პროცესზე პროკურორმა ვლადიმერ თურმანიძემ მოითხოვა გიორგი ვეკუას პატიმრობა, რადგან „ბრალდება მძიმე კატეგორიისაა“. პროკურორი ვარაუდობდა, რომ შესაძლოა ბრალდებული მიიმალოს ან მტკიცებულებების შეგროვებას შეუშალოს ხელი. პროკურორის ინფორმაციით, გარდა ამისა, ვეკუა არ თანამშრომლობს გამოძიებასთან.

ზაზა ჯიქიას სასამართლოში ბრალდება 2013 წლის 5 აპრილს წარუდგინეს. ბრალდების შინაარსი ასეთია:„ **ათეულობით პატიმრის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.**

სასამართლო სხდომის დოკუმენტში წერია, რომ ჯიქია ბრალდებას უარყოფს. პროკურორი ვარაუდობს, რომ ჯიქიამ შესაძლოა დატოვოს საზღვარი, დაემუქროს მოწმეებს... ამ არგუმენტით ის ბრალდებულის პატიმრობას მოითხოვდა, თუმცა პროკურორის ეს შუამდგომლობა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.“

სასამართლო პროცესები გრძელდება. დაკითხულია ათეულობით მოწმე.

2 სექტემბრის სხდომას, რომელსაც დავით მამისეიშვილი უძღვებოდა გაზეთი „ალიონი“ ესწრებოდა. ბრალდების მხარეს პროკურორი ირაკლი გაჩეჩილაძე წარმოადგენდა.

ი. ან-ძე:– ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაუსაძლისი მდგომარეობა იყო. პატიმრების ცემა, გინება, ფურთხება. მოთხოვნა შარვლის ჩახდაზე და ა.შ. **ცოცხი არ გაუკეთებიათ, თუ არა, სხვა არაფერი დაუკლიათ. მცემდნენ და თან ვიდეოს იღებდნენ.** ასე რომ გვაწამებდნენ, ან დედა არ ჰყავთ, ან ცოლი, ან შვილი. ორი ინსულტი გადავიტანე, ინფაქტი გადავიტანე. ნაღვლის ბუშტი გამისკდა ცემისგან. ხერხემალი დამიზიანეს, კისრის მალები ჩამსხვრეული მქონდა. ხეიბარი გამხადეს.

ციხის ექიმს დახმარების საშუალებას არ აძლევდნენ.

„ბლატაობდა“ გიორგი ვეკუა ციხეში:-„აქ მე ვარ ქურდიო“ ისე ვიყავი ცემისგან მოქცეული როცა კუდ–ის თანამშრომელმა ციხის ადმინისტრაციაში ამიყვანა „კაიფობდა“– ეს „ტრუპი“ სად მომიყვანეთო. „რეზბალნიცამდე“ კი მივაღწიე, მაგრამ ვინ გიმკურნალებდა...

დ. ა–ძე:–„2011 წლის 25 აპრილიდან 3 თვე დავყავი ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

პირველად თემურ მახარაძემ მცემა პოლიციის სამმართველოში. თან მეუბნებოდა: **–მიდი, მიდი, ციხეში უარესი მოგივალ.**

ციხეში მართლაც საშინელება იყო. გასინჯვაზე გიორგი ვეკუამ მცემა ვინმე ზაურთან ერთად...დილით ცემა, საღამოს –ცემა. შემოგვივარდებოდნენ საკნებში. უსაფრთხოების თანამშრომლები თანასაკნელ მლ-ს რომ სცემდნენ, ზაზა ჯიქია იგინებოდა. გვცემდნენ რეზინის ხელკეტებით, სხვა საგნებით. ხერხემალი დამიზიანეს, 10 მალა მაქვს დაცილებული. კათეტერი ჩამიდგეს. მარჯვენა ფილტვში წყალი ჩამიდგა... ერთ-ერთი ამათგანი (ზურაბი) დღესაც მუშაობს ამ დაწესებულებაში...

საავადმყოფოში რომ გადავეყვანე, ხელები დავისერე, მაგრამ ფილტვებში რომ წყალი მქონდა ჩამდგარი არ დამიწერეს.

რომ გვეჩივლა, საჩივარს ვინ გაიტანდა გარეთ. ადვოკატმა მითხრა, რომ დავწეროთ საჩივარი, კარებში გადამახვევენ თავზეო. ოჯახის წევრებთან პაემანზეც ვერაფერს იტყოდი:-ისმენდნენ...

ციხეში აუტანელი მდგომარეობა იყო ჰიგიენური თვალსაზრისით. აბანოში მხოლოდ რამდენიმე წუთით შევყავდით.

მოსამართლე დავით მამისაშვილმა შენიშვნა მისცა გიორგი ვეკუას ადვოკატს სოსო ჯალაღანიას იმის გამო, რომ მან მოწმე დ. ა–ძეს, უთხრა:– **„როცა ზურგში გცემდნენ, შენ ვერ ხედავდი ვინ გირტყამდა. ამიტომ არ უნდა შემობრუნებულიყავიო..“**

ზ. ქ-ძე:–აი, აგერ ზის ის კაცი, ვინც მცემდა (ხელი ზაზა ჯიქიასაკენ გაიშვირა). ყველაფრის გამო მცემდნენ. არაფრის გამო სცემდნენ კაცს. ექიმის მოთხოვნაზე სცემდნენ პატიმრებს, საჩივარს ვინ დაწერდა, გარეთ ვინ იყო გამტანი. საკნის „ვალჩოკიდან“ (სათვალთვალო) ვხედავდით, როგორ სცემდნენ სხვა პატიმრებსაც...ფეხები დღესაც ისე მტკივა, სიარული მიჭირს..

სხდომისათვის გამოყოფილი 3 საათი გავიდა. მოსამართლე გიორგი მამისაშვილმა მორიგი სხდომა 13 ოქტომბერს ჩანიშნა.

გაზეთ „ალიონს“ მოსამართლემ გადაღების უფლება დართო, მაგრამ ზაზა ჯიქიას ადვოკატმა პაატა ბოლქვაძემ ხელი შეგვიშალა პროფესიული მოვალეობის შესრულებაში.

ვნებათა ღელვანი სხდომის დროს და სხდომის შემდეგ

თემურ მარშანიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 აგვისტოს რიგგარეშე სხდომამ ცხადყო, რომ დეპუტატები არც დროს უფრთხილდებიან და არც ერთმანეთის რეპუტაციის შელახვას ერიდებიან. ვისაც უნდა, მაშინ მოვა და ვისაც უნდა, მაშინ წავა სხდომიდან. ერთმანეთისადმი ანტიპათიურად განწყობილები კი, წასვლამდე, თითიდან გამოწოვილი მიზეზებით ქოქოლასაც დააყრიან ურთიერთს. მოკლედ, 11 საათისთვის დარბაზში ქვორუმი ძლივს შეიკრიბა, ათიოდე წუთის შემდეგ სხდომას ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ სამეული – თამარ ნადირიძე, ნათია შარაშენიძე და ლევან მგელაძე შემოუერთდნენ, ხოლო დაახლოებით ოც წუთში კიდევ ერთი დაგვიანებული დეპუტატი, გურიის „თავისუფალ დემოკრატთა“ ლიდერი თემურ სალუქვაძეც გამოჩნდა, რომელმაც სხდომის დასასრულს წარმოთქმულ თავის სიტყვაში თქვა, რომ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძლო სხდომაზე დროულად გამოცხადება და ბოდიში მოიხადა დაგვიანებისთვის.

გადავხედოთ დღის წესრიგს და მივყვეთ თანმიმდევრობით:

საკრებულოს წევრის ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიურ რაოდენობად 412 ლარი განისაზღვრა

პირველ საკითხს „საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური ლიმიტისა და თითოეული მოვალეობის შესრულებისთვის ხარჯების მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრისათვის, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიურ რაოდენობად განისაზღვრა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15% – 412 ლარი.

ახალი სამუშაო ჯგუფი გერბისა და დროშის შესამუშავებლად

ქალაქი ოზურგეთი ჯერჯერობით უდროშოდ და უგერბოდაა. როგორც სხდომაზე ითქვა, ჰერალდიკის საბჭოს შენიშვნები აქვს საკრებულოს მიერ მოწონებული და წარდგენილი ნიმუშებისათვის.

ლეიბორისტი დეპუტატი ქალბატონი ნათია შარაშენიძე მიიჩნევს, რომ ამდენი ხნით ამ საკითხის გაწელვა და გაჭიანურება უბრალოდ სირცხილია,

საკრებულომ, ვადის ამოწურვის გამო, უფლებამოსილება შეუწყვიტა „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს და აქვე, საკითხის დამატებით შესწავლის მიზნით, მხარი დაუჭირა ახალი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნას ძველი ჯგუფისაგან განსხვავებული შემადგენლობით.

დროებით სამუშაო ჯგუფს ისევ უხელმძღვანელებს ნინო გოგუაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; წევრებად დაამტკიცეს: გელა კობალაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე; ირინა საჯაია, სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე; მედეა მახარობლიძე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე; ლევან მგელაძე, ფრაქცია ოზურგეთის მომავლისათვის თავმჯდომარე; ნინო ტაბატაძე, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, გენდერული, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; ლევან თოიძე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე; გოჩა ძიმისტარიშვილი, საკრებულოს წევრი; თეიმურაზ სალუქვაძე, საკრებულოს წევრი.

დროებითი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით, განიმარტა, რომ აუცილებლობიდან გამომდინარე, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრად სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, სათათბირო ხმის უფლებით, შეიძლება სხვა პირთა მოწვევაც.

დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა მიმდინარე წლის 31 აგვისტოდან 30 ნოემბრამდე.

შესაბამისი განკარგულებით სხდომაზე დამტკიცდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების – გერბისა და დროშის შემუშავების მიზნით სამუშაობის ჩატარების წესი, გერბსა და დროშაზე განთავსებული კომპოზიციებისა და ფიგურების ჩამონათვალის განმარტებები.

გვ-4

ღია წერილი ქალბატონ იზო გოგელიას

„ალიონის“ ნებისმიერ თანამშრომელს ნამდვილად არაფერი სჭირს თქვენგან ზურგში დასაფსკვნელი

ქალბატონო იზო, ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია, რომ გაზეთი „ალიონი“ თვალში არასდროს მოგდიოდათ – არც მაშინ, როცა ჰანიბალურ საგადასახადო სისტემაში საქმოსნობდით და არც მაშინ, როცა წინა ხელისუფლების დროს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შეუპოვარი დამჭაში ბრძანდებოდით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გაზეთისადმი თქვენს დღევანდელ პოზიციასაც კარგად ვიცნობთ, ერთხანს თავს ვიკავებდით ამ წერილის მომზადებისაგან, მაგრამ, ბოლო დროს თქვენი მხრიდან „ალიონის“ სახალხოდ ლანძღვამ, ერთგვარი სადისკრეტიზაციო კამპანიის მცდელობამაც კი, ცხადყო. რომ მეტისმეტი მოგდით და ამ მეტისმეტობის უპასუხოდ დატოვება დაუშვებელია.

თქვენგან განსხვავებით, თქვენს სამსახურში (იგულისხმება ა(ა)იპ „ოზურგეთის სერვისცენტრი“) არის რამდენიმე ადამიანი, ვინც კითხულობს და გულშემატკივრობს „ალიონს“. ამიტომ, თქვენი მცდელობა, როგორმე ყველას უარი ათქმევინოთ გაზეთის გამოწერაზე, დიდად ვერ იმოქმედებს ჩვენი გაზეთის ტირაჟზე.

რამდენადაც ვიცით, თქვენ არ ხართ მედიაექსპერტი და თქვენეულ შეფასებას „ალიონი“ კი არა, აგერ „გურია ნიუსი“ ვერ გამოგვიწერიაო, ვერ ჩავთვლით ჩვენს დიდ უბედურებად. რაც ნაკლები გვყოლება თქვენისთანა მკითხველი, მით უკეთესი ჩვენთვის.

გვინდა იცოდეთ, რომ „ალიონს“ ისე არასდროს გაუჭირდება, ძალდატანებით ეძებოს მკითხველი და ხელმომწერი, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყოველთვის დავდგებით იმ მკითხველის გვერდით, ვისაც თქვენ ასე ხელაღებით უკრძალავთ ჩვენი გაზეთის გამოწერასა და წაკითხვას.

ამასწინათ, როცა ერთ-ერთ ხელმომწერს გაზეთი მოუკითხავს (დისტრიბუტორს მოჰქონდა თქვენთან), „გურია ნიუსის“ ჟურნალისტის თანდასწრებით, ამაყად გითქვამთ, იმ თანამშრომლისთვის, ზურგში დავაფსკვენი და უკან გავატანეო. რა გითხრათ, იცით? „ალიონის“ ნებისმიერ თანამშრომელს ნამდვილად არაფერი სჭირს თქვენგან ზურგში დასაფსკვნელი.

ნურც იმას ცდილობთ, გაზეთები დაუპირისპიროთ ერთმანეთთან „გურია ნიუსი“ რომ კარგი გაზეთია, ეს თქვენზე ნაკლებად არ ვიცით, მაგრამ „ოზურგეთში რომ „ალიონსაც“ არ ჰყავს ნაკლები მკითხველი, ამაზე გინდათ სხვებს თვალი დაახუჭვინოთ. „ალიონსა“ და „გურია ნიუსს“ შორის ყოველთვის იყო და იქნება კოლეგიალური დამოკიდებულება და ჯანსაღი კონკურენცია, რასაც ჩრდილს ვერ მიაყენებთ ვერც თქვენ და ვერც თქვენი თანამოაზრეები.

ისიც გიბრძანებიათ, „ვის რაში სჭირდება ეს ჩამოწერილი „ალიონიო“?! ვისაც არ სჭირდება, „ჩვენგან „გუდბაი“ გადაუცით.

ისე, ჩვენც გვაქვს ანალოგიური კითხვა: რაში სჭირდება „ოზურგეთის სერვისცენტრს“ ისეთი კადრების განყოფილების ხელმძღვანელი, რომელმაც არ იცის, რა საკადრო ცვლილებები ხორციელდება თავის სამსახურში?! „ვეფიცებით, არაფერი ვიცი. მარტო ის ვიცი, რომ თანამშრომლები გაფრთხილებულები არიან შესაძლო ცვლილებების შესახებ“, – ეს ხომ თქვენი სიტყვებია, რომელიც იმ გაზეთს უთხარით, რომელსაც რატომღაც ორგანულად ვერ იტანთ.

პატივისცემით,

გაზეთი „ალიონი“

ვნებათა ღელვანი სხდომის დროს და სხდომის შემდეგ

გერბისა და დროშის შექმნის მიზნით კონკურსი გამოცხადდა 2015 წლის 1 სექტემბრიდან. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება საინფორმაციო საშუალებებით.

ერთი შეხედვით, ეს უწყინარი საკითხიც ურთიერთწაკბენის მიზეზად იქცა. ლეიბორისტი დეპუტატის ქალბატონი ნათია შარაშენიძის განცხადებით, ამდენი ხნით ამ საკითხის გაწელვა და გაჭიანურება უბრალოდ სირცხილია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თქმით კი, აქ სასირცხვილო არაფერია, რადგან გერბსა და დროშას ამტკიცებს ჰერალდიკის საბჭო და არა საკრებულო.

სხვადასხვა

სხდომაზე მიიღეს დადგენილება „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრსაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი და საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობისა და ფორმები.

დეპუტატებმა ასევე მხარი დაუჭირეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წეს-ებისა და საჯარო აუქციონის წესით ქონების პრივატიზებისას საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების შემოღებისა და საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისი დადგენილებების მისაღებად საჯარო ადმინისტრა-ციული წარმოების დაწყებას.

ცვლილებები შეიტანეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 სექტემბრის №61 განკარგულებაში „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის განკარგულებაში „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

საზოგადოებიდან მიღებული ინფორმაცია კი არა, ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ გავრცელებული მორიგი დემაგოგიური ჭორი

სხდომის დასასრულს, როცა ქალაქის მერმა ძველი პოლიციის შენობის წინამდებარე ბაღის მოსალოდნელი გასხვისების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე განხადებისთვის სიტყვა ითხოვა, დეპუტატი წამოდგა და დარბაზიდან გასა-სვლელად მოემზადა.

— კარგი იქნებოდა, ქალბატონო თამარ, დარჩენილიყავით, ეს თქვენს პროვოკაციულ განცხადებას ეხება, — მიმართა მან დეპუტატს.

— უჩემოდაც განიხილავთ, — უპასუხა ნადირიძემ და დარბაზიდან გავიდა. მას მიყვნენ კოლეგები ნათია შარაშენიძე და ლევან მგელაძე.

მერის თქმით, ინფორმაცია ძველი პოლიციის შენობის წინამდებარე პარკის გასხვისებას ქალაქის მერია არც ახლა და არ მომავალში გეგმავს:

„ინფორმაცია, რომელიც ქალბატონმა თამარ ნადირიძემ გაავრცელა, არასწორია, ქალაქის მერია არც ახლა და არც მომავალში არ აპირებს ძველი პოლიციის წინამდებარე პარკის გასხვისებას. ეს არის პროვოკაციული განცხადება მიმართული მერიისა და მერის საქმიანობის დი-სკრედიტაციისთვის და ვთხოვ ეთიკის კომისიას, ადეკვატური შეფასება მისცეს მას და შესაბამისი ღონიძიებებიც გატარდეს, რათა მსგავს ქმედებებს არ მიეცეს სისტემატური ხასიათი“.

მერის ამ განცხადებას იმავე დღეს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა თამარ ნადირიძე:

„...საკუთარ კედელზე (ფაცებოოკ) დავდე განცხადება, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენდა საზოგადოებიდან მიღებულ ინფორმაციის გადამოწმებას, რა მიზნითაც საჯაროდ შეკითხვა დავუსვი მერს, კერძოდ, ვითხოვდი, დადასტურებას ან უარყოფას შემდეგი ინფორმაციის — აპირებდა თუ არა ოზურგეთის მერი ძველი პოლიციის წინამდებარე პარკის გასხვისებას“...

სრულყოფილად ეს გამოხმაურება შეგიძლიათ ნახოთ თამარ ნადირიძის კედელზე. ჩვენ უბრალოდ ერთ დეტალზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას:

ეს არ იყო საზოგადოებიდან მიღებული ინფორმაცია, ეს იყო „ნაციონალების“ დუდუკზე მოთამაშე ერთ-ერთი მედიასაშუალების მიერ საზოგადოებისთის შეგნებულად შეგდებული დემაგოგირი ჭორი. სამწუხაროდ, არც ერთი მხარე ამაზე არაფერს ამბობს და ამ უთქმელობით სწორედ იმ დემაგოგის წისქვილზე ასხამს წყალს, ვისი მიზანიც მხოლოდ სკანდალის აგორება და დესტაბილიზაციაა. სხვათა შორის, ეს სინდრომი მთელი ქვეყნის მასშტაბით შეინიშნება და სანამ ასეთი მიდგომა იქნება, სანამ ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი არ დაერქმევა, სანამ ყველაფერს ფარდა არ აეხდება, მსგავსი რამ ყოველთვის მოხდება.

რას ნიშნავს „ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმება“ და რატომ აღმოჩნდა ამ ეტაპობრივობაში „ალიონი“ ბოლო?

საკმაოდ საინტერესო და დასაფიქრებელი დებატები მოჰყვა ადგილობრივი მედიის განვითარებისთვის ხელ-შეწყობის თემაზე დეპუტატ თემურ სალუქვაძის განცხადებას:

„ჩვენ ვალდებულები ვართ, შესაძლებლობის ფარგლებში, გვერდით დავუდგეთ ადგილობრივი მედიის განვითარებას, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ის. დღეს, ამ რთული სოცია-ლური პირობების ფონზე ყველა მედი-ასაშუალებას სჭირდება დახმარება. მე თქვენს ყურადღებას გავამახვილებ გაზეთ „ალიონზე“, მისი ხელმძღვანელობის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე, რომელშიც არა მხოლოდ ფინანსური, არამედ სხვა პრობლემებიც ჩანს, რაც, ჩემი აზრით, დამაფიქრებელია. ეს გაზეთი სხვა პასუხისმგებლობის მატარებელია, ოზურგეთის მემატიანეა და ეს მისია მან მომავალშიც უნდა იკისროს. ამიტომ ამ გაზეთისადმი პასუხისმგებლობის ტვირთი ჩვენაც უნდა გავინაწილოთ“, — თქვა თემურ სალუქვაძემ.

ქალაქის მერის თქმით, მისი ინტერესი რომელიმე გაზეთი მიმართ არ არსებობს და ობიექტურად უდგება ამ საკითხს:

„ეს გაზეთი არის ისტორია. დღევანდელი „ალიონი“ არ არის შექმნილი გუშინ ან გუშინწინ. ჩემი პირადი ინტერესი რომელიმე გაზეთის მიმართ არ არსებობს შევეცდებით, ვიყოთ ობიექტურები და ყველა გაზეთი ჩვენი მხრიდან იყოს თანაბარ პირობებში“.

ლოგიკიდან ამოვარდნილი გვეჩვენა ქალაქის მერიის საზოგადოებასთან ურ-თიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის გამოსვლა, რომელმაც ჯერ ბატონ თემურ სალუქვაძეს ჩაუჭრა სიტყვა, შემდეგ თავის გამოსვლაში აღ-ნიშნა, რომ ყველა მედიასაშუალებებთან ერთნაირ პირობებში, ეტაპობრივად მოხდა ხელშეკრულების გაფო-რმება:

„მედიასაშუალებებთან, ეტაპობრივად მოხდა ხელშეკრულების გაფორმება, მათ შორის „ალიონთანაც“, — თქვა ხათუნა შარაძემ

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება გაზეთის რედაქტორი ნუგზარ ასათიანი, რომელიც ამბობს, რომ „ალიონთან“ ჯერჯერობით არანაირი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული:

„ჯერჯერობით „ალიონთან“ არანაირი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული. იქნებ ქალბატონმა ხათუნამ აგვიხსნას, რას ნიშნავს „ეტაპობრივად ხელშეკრულების გაფორმება“, რატომ აღმოჩნდა ამ ეტაპობრივობაში „ალიონი“ ბოლო და რატომ არის გათვალისწინებული მისთვის უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ნაკლები თანხა, ვიდრე სხვა გაზეთისთვის?! როგორც ჩანს, პრიორიტეტული ის მედიასაშუალებაა, რომელიც მერიაში მიუვარდება, მუქარით ვიდეოკამერას ჩართავს და „ალიონის“ ნომრებს დაფიქსირებს“....

ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ განცხადება

3 სექტემბერს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში თამარ ნადირიძემ შემდეგი სახის განცხადება გაავრცელა:

ბეგლარ სიორიძემისთვის არასასურველი ადამიანების დისკრედიტაციას და ყალბი ინფორმაციის გავრცელებას ხალხის ფულის გამოყენებით ახდენს.

01.09.2015 წელს მედიასაშუალება **guria news**-ის ვებ-პორტალზე გამოაქვეყნდა სტატია - „ოზურგეთის მერის პასუხი ოპოზიციონერ დეპუტატს„. სტატიას თან ერთვის ვიდეომასალა და აქვე დადებული აქვს ნიშანი „დ„ იმის მაჩვენებლად, რომ სტატია დაფინანსებულია.

ვიდეომასალის დამზადებისას გამოყენებულია სპეციალური სამონტაჟო ტექნიკური საშუალებები და ასევე სპეციალური ცოდნის ადამიანების მომსახურება. ვიდეომასალას დადებული აქვს მერიის პრესამსახურის თანამშრომლის საინფორმაციო ხასიათის ტექსტი, ამასთანავე შეიცავს კადრებს ოზურგეთის საკრებულოს ამავე დღის სხდომიდან და სიუჟეტში ჩართულია ოზურგეთის მერის, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის და საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინტერვიუები. მერიას ვიდეომასალის დახმარებაში ტექნიკური და ინტელექტუალური დახმარება გაუწია გურიის სამხარეო ადმინისტრაციამ.

ვიდეომასალა ასახავს ბეგლარ სიორიძის, საკრებულოს თავმჯდომარის გელა კობალაძის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინტერვიუებს. ვიდეომასალის დამზადება პასუხად მოჰყვა თამარ ნადირიძის სოციალურ ქსელში გავრცელებულ საჯარო შეკითვას - აპირებდა თუ არა მერია ოზურგეთის ძველი პოლიციის წინ მდებარე პარკის გასხვისებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეიცავს ჩვენი ფრაქციის წევრების დისკრედიტაციის მცდელობას, რადგანაც მასში მოხსენებული ვართ, როგორც პროვოკატორები და არასწორი ინფორმაციის გამავრცელებლები. ამასთანავე დაგმობილია ჩვენი მხრიდან საკრებულოს სხდომის დატოვება.

მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა აშკარად გაყალბებული მედიაპროდუქტის მომზადებას ადმინისტრაციული ორგანოს ტექნიკური და ადამიანური რესურსის გამოყენებით. გარდა იმისა, რომ მედია პროდუქტი შეიცავდა ჩვენი დისკრედიტაციის და რეპუტაციის შემლახველ ინფორმაციას, ამასთანავე ამ ყველაფრის გავრცელებისათვის მედიასაშუალებისათვის გამოყენებული იქნა საბიუჯეტო სახსრები.

ხსენებულიდან გამომდინარე, ოზურგეთის მერმა კვლავ დაადასტურა, რომ ხალხის მიერ მისთვის მინდობილ ფულს რაშიც უნდა იმაში გამოიყენებს, მათ შორის განსხვავებული აზრის ოპოზიციონერი დეპუტატების დისკრედიტაციისათვისაც, რაც დაუშვებელია.

მიგვაჩნია, რომ ასეთი ფორმით მისთვის არასასურველი ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო მეტ საზოგადოებრივ ყურადღებას იმსახურებს.

საჯაროდ მივმართავთ გურიის-გუბერნატორს გია სალუქვაძეს, ოზურგეთის მერს ბეგლარ სიორიძეს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს გელა კობალაძეს შემდეგი მოთხოვნით:

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას გამოუყონ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, ტექნიკური პერსონალი და სახსრები იგივე სახიას და ფორმატის ვიდეო მასალის დასამზადებლად და გასავრცელებლად, რაც დააბალანსებს ზოგადად თემას და უზრუნველყოფს ჩვენი საზოგადოებისათვის დასკვნების გამოტანი-სათვის საჭირო საინფორმაციო ველს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი შემოსავლებისა და გადასახდელების ნაწილში 482 800 ლარით გაიზარდა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2 სექტემბრის სხდომის ძირითადი თემები ბიუჯეტი და ინფრასტრუქტურული პროექტები იყო.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის გელა ჩავლეშვილის დასკვნისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის გია მამაკაიშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე, საკრებულომ დაადგინა, რომ ცვლილებები შევიდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს მიერ 2014 წლის 24 დეკემბერს მიღებულ №48 დადგენილებაში.

სულ შემოსავლებისა და გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტი გაიზარდა 482 800 ლარით:

შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები გაიზარდა 482 800 ლარით, კერძოდ: გადასახადი საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 35 ათასი ლარით; მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის – 34 000 ლარით; შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან 229 800 ლარით;

შემოსავალი მიწის გაყიდვიდან – 184 000 ლარით.

შემცირდა:

– მუნიციპალიტეტის გამგეობის კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი – 10,0 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის გამგეობის საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი – 4,0 ათასი ლარით;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყლის ხარჯი – 1,0 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის გამგეობის სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი – 5,0 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი – 1,5 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი – 0,9 ათასი ლარით;

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები, ძირითადი აქტივების ზრდა საცხოვრებელი შენობების ნაწილში – 64,0 ათასი ლარით;

– ზოგადი განათლებისადმი ხელშეწყობა სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯის ნაწილში – 31,1 ათასი ლარით;

– სპორტული ღონისძიების დაფინანსება, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის ნაწილში – 25,0 ათასი ლარით;

გაიზარდა:

– მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილების შეძენის ნაწილში – 10,0 ათასი ლარით;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სუბსიდიები –8,7 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის გამგეობის სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი – 9,0 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის გამგეობის ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სატამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები – 5,0 ათასი ლარით;

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხარჯები – 10,0 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის გამგეობის მივლინება ქვეყნის გარეთ – 10,0 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა კომპიუტერის შეძენის ნაწილში – 6,4 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა. პრინტერის, სკანერის და ასლგადამღების შეძენა – 1,3 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის გამგეობის არაფინანსური აქტივების ზრდა. სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შეძენა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 1,6 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების დაფინანსება – 20,8 ათასი ლარით;

– მუნიციპალიტეტის შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა სოციალური დახმარების ნაწილში – 10,0 ათასი ლარით;

– სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები - 20,0 ათასი ლარით;

–მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივების ზრდა კომპიუტერის შეძენის ნაწილში – 2,4 ათასი ლარით;

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო სახართაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის ნაწილში – 165,0 ათასი ლარით;

– სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, სოციალური დახმარება სასაქონლო ფორმით – 103,6 ათასი ლარით;

– გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამა, არაფინანსური აქტივების ზრდა გზების ნაწილში – 123,7 ათასი ლარით;

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, მიმდინარე რემონტის ხარჯის ნაწილში – 12,6 ათასი ლარით;

– სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების ნაწილში – 19,1 ათასი ლარით;

– წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის

პროგრამა, არაფინანსური აქტივების ზრდა, საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემების ნაწილში – 35,0 ათასი ლარით;

– მუნიციპალური ტრანსპორტი, სუბსიდიების ნაწილში – 1,1 ათასი ლარით;

სულ გაიზარდა 482 800 ლარით.

მიმოიხილეს და დადებითად შეაფასეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შედეგები.

საკრებულოს 2015 წლის 3 ივნისის №24 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 1 739 717 ლარით.

2015 წლის განმავლობაში, განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, წლევანდელი ბიუჯეტი 1 ივნისის მდგომარეობით განისაზღვრა 15336,4 ათასი ლარით: გადასახადები –10-00,0 ათასი ლარით, ტრანსფერი –10518,4 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები – 563,6 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლება – 5,0 ათასი ლარით, შემოსავალი ნაშთიდან – 3249 ათასი ლარით.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი და მოძრავი საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების მიღებას; მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 17 აგვისტოს №2131 მომართვაში წარმოდგენილ მოქალაქეებზე მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ძირითადი ქონების გასხვისების მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემას.

„გვინდოდა აღმასკომის სხდომაზე გვემსჯელა, ვინ შეგვერჩია ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის დელეგატად“

ალიონი. 31 აგვისტოს, ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონ „მეგობრობაზე“ გურიის ფეხბურთის ფედერაციის გამგეობის წევრები ჟურნალისტებს უნდა შეხვედროდნენ. მოხდა ისე, რომ ისინი სხვადასხვა მედიასაშუალებებს ცალ-ცალკე შეხვდნენ.

ვინ იყვნენ შეხვედრაზე წარმოდგენილნი: ბენო თავბერიძე, (ჩოხატაური) გურიის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი; გამგეობის წევრები გრიშა თოდრია, (ჩოხატაური) მერაბ ვანიძე, (ოზურგეთი). ჯამბულ კუტალაძე, (ლანჩხუთი) იური ჩხაიძე (ოზურგეთი).

გურიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ კახა ებრალიძის გარდა გამგეობის წევრები ლანჩხუთიდან არიან ირაკლი ფაცურია, რამაზ ფირცხალაიშვილი; ფედერაციის გენერალური მდივანი ხარიტონ ჩხატარაშვილი, რომლის პოზიცია ფეხბურთის ფედერაციის ყრილობის დელეგატის არჩევასთან დაკავშირებით შეკრებილ გამგეობის წევრებისთვის უცნობი იყო.

ბენო თავბერიძე:–„ ჩვენ აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ თქვენი საშუალებით სზოგადოებისთვის გვეთქვა ის, რაც ხდება გურიის ფეხბურთის ფედერაციაში. გვინდოდა შევკრებილიყავით აღმასკომის წევრები და გვემსჯელა, თუ რომელი დელეგატი უნდა წასულიყო თბილისში ყრილობაზე.

მერაბ ვანიძე –კი ვამბობთ უნდა გვემსჯელა, მაგრამ რა იურიდიული მექანიზმი გვაქვს ამისთვის, არ ვიცით. ჩვენ გურიის ფეხბურთის დებულებას ფედერაციაში დელეგატის არჩევის წესის შესახებ არ ვიცნობთ.

–შეეცადეთ კახა ებრალიძესთან გესაუბრათ?

ბენო თავბერიძე: –დღეს იყო მცდელობა კახა ებრალიძესთან გვესაუბრა. ამიტომ მივედით გუბერნიაში. თუმცა ჩვენი ხანგრძლივი მცდელობა მასთან დაკავშირებისა, უშედეგო აღმოჩნდა.

იური ჩხაიძე:– ცუდია, რომ გამგეობის წევრები დებულებას არ ვიცნობთ. კახა ებრალიძე ჩვენს ზარებს არ პასუხობს. აუცილებლად მიმაჩნია, ფედერაციის აღმასკომის სხდომის გამართვა. კახა ებრალიძემ დებულება უნდა გაგვაცნოს და პასუხი გაგვცეს კითხვაზე: –ჰქონდა თუ არა მას უფლება ერთპიროვნულად წარედგინა ყრილობის დელეგატი.იქნებ ჩვენც გოჩა ტყებუჩავასათვის მიგვეცა ხმა. იცით, რომ მან ერთპიროვნულად სფფ პრეზიდენტის პოსტზე რევაზ არველაძის კანდიდატურა წარადგინა. რომ შეგვეკითხოს ფედერაციის პრეზიდენტობის სხვა კანდიდატები, თქვენ თანახმა იყავით თუ არა – პასუხი ხომ უნდა გავცეთ?

გურიის ფეხბურთის ფედერაციის გამგეობის წევრების უმრავლესობის აზრით კახა ებრალიძემ მათ უნდა მოუსმინოს...

საქართველოს ჩემპიონატი პირველი ლიგის გუნდებს შორის დაიწყო

ალიონი. საქართველოს 2015-2006 წლის ჩემპიონატი პირველი ლიგის გუნდებს შორის დაიწყო. წინა გათამაშებისაგან განსხვავებით, ამჯერად გუნდები ორ ზონად არ არის დაყოფილი და ამ ჩემპიონატში 18 გუნდი იასპარეზებს. მათ შორის „გაგრა,“ „ვიტ ჯორჯია,“ სკ „რუსთავი,“ „ბორჯომი“ და ა.შ.

2 სექტემბერს ოზურგეთის „მერცხალს“ სეზონის პირველი მატჩი შინ, განახლებულ არენაზე ჰქონდა. ამ დღეს ოზურგეთელმა გულშემატკივრებმა განახლებული სტადიონით გაიხარეს, მაგრამ ხარიტონ ჩხატარაშვილის გუნდმა ბოლომდე ვერ მიიყვანა ეს სიხარული და „ლიახვთან“ ორი ქულა დაკარგა. 2:2 –ასე დამთავრდა ეს მატჩი.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



ალექსანდრ ფლემინგი (1881-1955), შოტლანდიელი მეცნიერი. 1929 წელს ფლემინგმა გამოაქვეყნა პირველი მოხსენება პენიცილინის ანტიბაქტერიული თვისებების შესახებ. 1939 წელს პენიცილინის შემდგომი სრულყოფა ჰოვარდ ფლორას და ერნესტ ჩეინს გადაბარა. 1945 წელს პირველი აღმომჩენიცა და მისი საქმის გამგრძელებელიც მედიცინეს დარგში ნობელის პრემიით დაჯილდოვეს. 1955 წელს ფლამინგო გულის შეტევით გარდაიცვალა ლონდონში.

1928 წლის სექტემბერში ალექსანდრ ფლემინგის ცხოვრებაში ყველაზე ღირსახსოვარი მოვლენა მოხდა - მან თავის ლაბორატორიაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმ-ოჩენა გააკეთა, რასაც მილიონობით ადამიანის გადარჩენა შეეძლო. 1940 წლიდან უკვე ობის სოკოსაგან, პენიცილინის, როგორც პრეპარატის წარმოება დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში სხვა ადამიანებმა შეიტანეს საკუთარი წვლილი, ფლემინგი, როგორც პირველი აღმომჩენი, მაინც გმირად იქცა.

1944 წელს მას მიენიჭა რაინდის წოდება. ფლემინგი ასე ამბობდა: „ ჩემი წვლილი არის მხოლოდ ის, რომ მე უყურადღებოდ არ დამიტოვებია ჩემი დაკვირვება (ობის სოკოზეა საუბარი) და ამ საქმეს ბოლომდე მივყევი, როგორც ბაქტეოროლოგი“.

რობერტ გოდარდი (1882-1945). 1915 წელს რაკეტის ძრავის დემონსტრირება მოახდინა, რომელსაც შეეძლო ბიძგის მიცემა ვაკუუმში.

1926 წელს მან პირველ თხევად საწვავზე მომუშავე რაკეტა გამოუშვა, რომელმაც 15 მეტრის სიმაღლეს მიაღწია, 1930 წელს გოდარდმა დაიწყო მუშაობა ნიუ-მექსიკაში, სადაც ფარფლებიანი, სამართავი მოწყობილობით აღჭურვილი ზებგერითი და მრავალსაფეხურიანი რაკეტა ააწყო.

რობერტ გოდარდს ეკუთვნის გამოთქმა: „ყველანაირი ოცნება ხუმრობაა, სანამ ადამიანი მას არ განახორციელებს.“

1935 წელს მეცნიერმა გაუშვა რაკეტა ზებგერითი სიჩქარით. 1937 წელს გაშვებულმა რაკეტამ 1,7 მილი გაიარა სიმაღლეში, რაც იმდროინდელ რეკორდს წარმოადგენდა.

მიუხედავად ამ წარმატებისა, აშშ-ს მთავრობა ყურადღებას არ აქცევდა გოდარდის ნამუშევარს, სანამ 1940-50-იან წლებში კოსმოსურმა შეჯიბრმა უმაღლეს დონეს არ მიაღწია. გოდარდის გამოგონება სასტარტო ბაზად გამოიყენეს. მთავრობა იძულებული გახდა გოდარდის ქვრივისთვის 1 (ერთი) მილიარდი დოლარი გადაეხადა პატენტის პირობების დარღვევისათვის.

როდესაც 1969 წელს ადამიანი მთვარეზე დაჯდა, ამ მოვლენიდან 3 დღის შემდეგ, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ბოდიშს იხდიდა აწ გარდაცვლილი გორდარის წინაშე 1920 წელს დაწერილი კრიტიკის გამო და ამართლებდა ადამიანს, რომელმაც ნილ ამსტრონგს მთვარეზე ფეხი დაადგმევინა, რომ რაკეტას ნამდვილად შეუძლია ფუნქციონირება როგორც ვაკუუმში, ასევე ატმოსფეროში.

მოამზადა
გურამ ცერცვაძემ.

იყიდება

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში, თეატრთან და სადგურთან ახლოს ოთხოთახიანი ფაბლის სახლი თავისი ეზოთი. ეზო ხეხილით, 661 კვ მ. ბუნებრივი რი მიყვანილია სახლამდე.

ფასი შეთანხმებით. ტელ. 595 187957.

***

იყიდება 400-კაციანი საბანკეტო დარბაზი ოზურგეთის ცენტრში.

ტელ. 593 95 61 83.

სკანვორდი



№33-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ტიციან ტაბიძე; „კარმენის“ ავტორი – ბიზე; ნაზირთა საბჭო – სავაზირო; ძროხის ძუძუ – ცური; ომის შეწყვეტა მოლაპარაკებით – ზავი; ჩამონათვალი – სია; დანიელი დრამატურგი – სოია; ექსკავატორის ნიჩაბი – ციცხვი; ძილის მოკიდება – რული; აზრი – იდეა; ელექტროხელსაწყო – რელე; სატყორცნი იარაღი – არბალეტი; ფრინველი ფოსტალიონი – მტრედი; ფიგურა ჭადრაკში – ეტლი; კლიტე – ბოქლომი; ადვილი – იოლი; დიდი ციგა – მარხილი; ავტორბოლა – რალი; სომხეთის დედაქალაქი; „შეხვედრა“ წარსულთან“ გმირი – აკია; რძის ნაწარმი – დო; ეკალი – ქაცვი; შეძახილი ტურის დასაშინებლად – სისა; მაფიური ორგანიზაცია ლათ. ამერიკაში – მარასი; კაფე-თესე – გუგული; ანკესის ნაწილი – კაუჭი; შაბათი ძველქართულად – კრონოსისა; ძველი ხურდა ფული – შაური; ყვავილი – ია; მარგალიტის თვალი – ჯავარი; ქართული ზღაპრის გმირი – უსუპი; სოფელი სვანეთში – უშგული; იგივეა, რაც მეაბჯრე – ჯაბადარი; სანახაობა – სეირი; დიმიტრი ხოშტარიას ფსევდონიმი – დუტუ მეგრელი; სოფელი გურია-აჭარის საზღვარზე – აჭი.

ნასაკირალის შეტაკება

1905 ივლისში ვორონცოვ-დაშკოვმა ვლადიმირ სტაროსელს კი ქუთაისის გუბერნატორად დანიშნა, ვორონცოვ-დაშკოვი რისკზე მიდიოდა, რადგან სტაროსელსკი" ქართველოფილი" იყო და ბევრი მეგობარი ჰყავდა რადიკალურად განწყობილი ქართული ინტელიგენციის წრეებში. მისი მოღვაწეობა შეიძლება დავახასიათოთ ფილიპე მახარაძის სიტყვებით: მან „არანაირი ზომები არ მიიღო რევოლუციონერებისა და პროპოპაგანდისტების წინააღმდეგ"და უფრო მეტიც, „მათი დაცვის სურვილიც გამოამჟღავნა .ქართველები მას „წითელ გუბერატორს „ან უბრალოდ „ჩვენს ლადოს" ეძახდნენ. პოლიციიდან განუწყვეტლად მოდიოდა მასზე საჩივრების ნაკადი. წერდნენ, რომ იგი ესწრებოდა რევოლუციონერების შეხვედრებს, ათავისუფლებდა პატიმრებს და წითელი დროშებით მორთული მატარებლით მგზავრობდა.ურატაძე ახასიათებდა მას ,როგორც „ჭეშმარიტი ინტელიგენციის ნიჰილისტ წარმომადგენელს" და უფრო იდეალისტს, ვიდრე ადმინისტრატორს. ხმები სტაროსელსკის საქმიანობის შესახებ სანკტ-პეტერბურგში ჩავიდა. შინაგან საქმეთა მინისტრი პ.ნ. დურნოვო ნიკოლოზ მეორეს ატყობინებდა, რომ სტაროსელსკი ეჭვმიტანილი იყო გურულ მოძრაობის შეგნეულად მონაწილეობაში" (სტივენ. ჯონსი, „სოციალიზმი ქართულ ფერებში", გურიის რესპულიკა, გვ.189).მოგვიანებით, კერძოდ, 1906 წლის იანვარში ნიკოლოზის ბრძანებით სტაროსელსკი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

დამსჯელი რაზმის გურიიდან წასვლის შემდეგ მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: გურიაში ახალი ძალით გაჩაღდა რევოლუციური მოძრაობა, რამაც თავი იჩინა სექტემბრის დასასრულსა და ოქტომბრის დასაწყისში „მე არაერთხელ მიცნობებია თქვენთვის, წერდა კავკასიის მეფის ნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს კავკასიის პოლიციის უფროსი გენერალ-მაიორი შირინკინი, რომ გურიის ავჯანყება, თბილისის დაძაბულ ვითარებასთან სამეფისნაცვლოს ბევრ სხვა ადგილებთან და ფინეთის ავჯანყებასთან ერთად წარმოადგენს დიდ საშიშროებას"(ცენტ.საისტორიო არქივი ფ.1 საქმე 2.გვ.186.)

10 ოქტომბერს რევოლუციურმა გლეხობამ ოზურგეთის მაზრის ყველა სოფელში დაკეტა კანცელარიები, მამასახლისებმა მიატოვეს სამუშაო. ხალხმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა მოხელეებთან.

1905 წლის 12 ოქტომბერს შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ მატარებელს, საიდანაც გაიტაცეს იარაღი." გურულები, აღნიშნავდა გაზეთი „ვპერიოდი", გურიაში მიმდინარე მომენტის შესახებ-აშკარად შეუდგნენ შეიარაღებას, დღისით მზისით თავს ესხმიან ბერდანის სისტემის თოფების მქონე პირებს და ართმევენ მათ ამ თოფებს ,თან იმით ანუგეშებენ ,რომ რევოლუციის შემდეგ უკან დაგიბრუნებათო".

„16 ოქტომბერს 300 კაცისაგან შემდგარი გლეხების რაზმი თავს დაეახა ჩოხატაურის უბნის სამართველოს, სადაც მოკლეს რამდენიმე ჩაფარი, შეიპყრეს ბოქაული გაგუა და წაიღეს 10 ბერდენისა და 12 სანადირო თოფი ,რამდენიმე შაშხანა და რევოლვერი"....(1905-07 წლების რევოლუცია საქართველოში. თბ.1955 წ. გვ.226).

18 ოქტომბერს გურიის თითქმის ყველა სოფლიდან განდევნილი იყვნენ პოლიციელები და მემამულეები. რევოლუციური გლეხების დასასჯელად 18 ოქტომბერს ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო ჩაფართა რაზმით და კაზაკთა ნაწილებით, რომელთა რაოდენობა 120 კაცს შეადგენდა ჩოხატაურისაკენ გაემართა. ლაზარენკოს ჩოხატაურისაკენ გამგზავრება მხედველობიდან არ გამოპარვიათ გურიის გლეხთა რევოლუციური კომიტეტის წევრებს. ვიდრე ლაზარენკო ჩოხატაურში შევიდოდა ქალები, ბავშვები და მოხუცები გახიზნეს და მოემზადნენ მთავრობის ერთგული კაზაკთა რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბრძოლის ადგილად შერჩეული იქნა შესაფერისად ხელსაყრელი პოზიცია-ნასაკირალის მაღლობი, სადაც განლაგდნენ გურული წითელრაზმელები დათიკო შევარდნაძის (ასკანა), კიკია მამულაშვილის (ბახვი ,დვაბზუ), ილია მგელაძე (შემოქმედი), ფარნა ცქვიტინიძე (ასკანა) პავლე ელიაძე (ცხემლისხიდი), გიორგი გაგუა (ოზურგეთი), სეფე ცინცაძე (ფარცხმა) და სხვათა ხელმძღვანელობით, რომელთა საერთო რიცხობრივი შემადგენლობა 4000 კაცს შეადგენდა აჯანყებულები. იური სიხარულიძის ცნობით, შეიარაღებული იყვნენ ძველი ქართული თოფებით:" მაჭახელა" „ნალფარა" „ფილთა" და ზოგიერთს შაშხანებიც კი ქონდათ თურმე", (ი.სიხარულიძე „ასი წლის წინათ" გაზეთი „რაეო" №14, 2005 წ) .როგორც კი ლაზარენკო თავისი დამსჯელი რაზმით ჩოხატაურისაკენ დაიძრა, გაისმა ზარ-ების გაბმული რეკა, კაზაკები საბრძოლველად მოემზადნენ, მაგრამ ამაოდ მათ წინააღმდეგობას არავინ უწევდა.

ჩოხატაური ლაზარენკოს დაცარიელებული დახვდა. მაშინ კი მიხვდა მაზრის უფროსი, თუ რას ნიშნავდა ნასაკირალიდან გაბმული ზარების გუგუნი.

ჩოხატაურიდან მაზრის უფროსი დამშვიდებული დაბრუნდა უკან. ლაზარენკოს რაზმის ყოველი მოძრაობა მზვერავების საშუალებით მშვენივრად იცოდნენ ნასაკირალის მაღლობზე განლაგებულმა წითელრაზმელებმა. „აჯანყებულთა მთელი ბანაკი-მოგვითხრობს თავის მოგონებაში ნასაკირალის შეტაკების ერთერთი მონაწილე რევოლუციონერი ფარნა ცქვიტინიძე, მზადყოფნაში იყო. სათანადოდ წარგზავნილმა მზვერავებმა გვამცნეს, რომ ნაგომრიდან გამოვიდა ჩოხატაურიდან მომავალი მაზრის უფროსი თავისი რაზმით. უკვე იქნებოდა ღამის ორი თუ სამი საათი, როცა ჩვენ ვიგრძენით პლასტუნთა ბატალიონის მოახლოება, ასეთ დაძაბულ ვითარებაში სტვენის ხმაც გაისმა. ეს იყო ნიშანი, რათა ხელყუმბარები დაგვეყარა მტრის თავზე. ერთდროულად იჭექა ასეულობით წითელრაზმელთა თოფისხმამ..... გასროლილ იქნა ხელყუმბარები. მიუხედავად საშინელი სიბნელისა იგრძნობოდა მტრის ბანაკში სრული არეულობა და პანიკა. გათენებისას გაირკვა , რომ სათვალთვალო პუნქტზე მდგარი ამხანაგის (სათვალთვალო პუნქტზე მაშინ იდგა ოზურგეთის მკვიდრი გიორგი გაგუა) მიერ ადრე იქნა სტვენითი ნიშანი მიცემული ამ გარემოებამ მაზრის უფროსი და მისი რაზმი სრული განადგურებისაგან იხსნა. შეშინებული პლასტუნთა ბატალიონი ციცაბო კლდეზე დაშვებით ბახვისწყალზე გავიდა და იქვე მდებარე ცხავათის მთის ტყეს შეაფარა თავი." (ფ, ცქვიტინიძის მოგონება .ი. მ. ფონდი საქმე 343 გვ.4) ნასაკირალის შეტაკების მონაწილე პავლე ელიაძის მოგონებაც ანალოგიუ-რია"....შეიარაღებულები დავიძარით ნასაკირალისაკენ, იქ რევოლუციონერი გლეხობის დიდძალი მასა დაგვხდა.თხრილები და აკოფები თითქმის მზა მდგომარეობაში იყო.მე სხვებთან ერთად ვიდექი ნასაკირალის ქედის თავში ჩაბარებული მქონდა ათგირვანქიანი ხელყუმბარა და პლასტუნთა რაზმის გამოჩენისთანავე უნდა გამესროლა, მოუთმენლად ველოდით ჩვენს სამსხვერპლოს. დადგა ოცი ოქტომბრის ღამე და შევამჩნიეთ პლასტუმთა ბატალიონის მოახლოება. . მე ხელყუმბარა ვესროლე, მაგრამ იგი მათ „აბოზს" დაატყდა თავს. ბნელმა ღამემ მე შეცდომაში შემიყვანა, ,მე გაანგარიშებული მქონდა იგი თვით პლასტუნთა ბატალიონის შუაგულში ჩამეგდო, ამ გარემოებამ პლასტუნები თითქმის სრული გაწყვეტისაგან იხსნა. პლასტუნები დაეგენ მიწაზე და წყალში გადაცვივდნენ, ჩვენ მათ განუწყვეტელი ზალპით ვპასუხობდით. დიდი ხნის შემდეგ გონს მოვიდნენ და ჩვენს „ზალპს" სროლით უპასუხეს და მოპირდაპირე მთას შეაფარეს თავი. დილით მე დავინახე პლასტუნთა განადგურებული „აბოზი" და ათზე მეტი მოკლული პლასტუნი. ჭალაში კი პლასტუნთა უპატრონო ცხენები დათარეშობდნენ". (ო. ი. მ. ფ. საქმე 343)

ნასაკირალის მაღლობზე 20 ოქტომბერს დაწყებული ბრძოლა მეორე დღესაც გაგრძელდა. .ცხავათის ტყეში თავშეფარებულმა ლაზარენკომ ოზურგეთში მაშველი რაზმის ჩამოსაყვანად გაგზავნა 5 კაზაკი. ამათგან წითელრაზმელების მიერ მოკლული იქნა 3 დაიჭრა ერთი, ხოლო მეხუთემ შეძლო ოზურგეთში ჩაღწევა და შექმნილი მდგომარეობა მოახსენა ოზურგეთის პლასტუნთა ბატალიონის უფროს სურაზოვს, რომელმაც განსაცდელში მყოფი ლაზარენკოს დასახმარებლად დასძრა პლასტუნთა ორი ასეული. პლასტუნებმა ცეცხლითა და მახვილით გაიარეს ოზურგეთიდან ნასაკირალის გადასავლელამდე არსებული მანძილი და შური უდანაშაულო მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებზე იძიეს „.დაწყებული დვაბზუდან ოზურგეთამდე - წერდა „ცნობისფურცელი" ერთი ორი სახლი თუ გადარჩა, თორემ სხვები მთლიანად გადამწვარია. ხუთი ვერსის მანძილზე გადაუბუგავთ ყაზახებს ათისა და ოცი წლობით შეძენილი ქონება უდანაშაულო მოსახლეობისა"(„ცნობისფურცელი" 2781.1905წ.) ნინო ნაკაშიძე „მოგონებები გურიაზე" გადმოგვცემს:... .დვაბზუში ჩვენს მასპინძელს ახსოვდა როგორ გადაწვეს 1905 წელს ნასაკირალიდან დაბრუნებულმა პლასტუნებმ დვაბზუს გზისპირას მცხოვრები მოსახლეობა და დიდი გულისტკივილით იგონებდა, როგორ შეაგდეს და დაწვეს მაშინ ცეცხლში პატარა ბავშვი. ჯერ აქამდის ვერ მოგვინელებია ეს ამბავი და გული ბოღმით მევსება იმ დუხჭირი დროის მოგონებითო-ამბობდა მასპინძელი." (ნინო ნაკაშიძე, „მოგონებები გურიაზე" ო.-ი.მ. საქმე 531). როგორც მე მიამბეს სოფელ დვაბზუს მცხოვრებლები კარგა დიდი ხნის მანძილზე იგონებდნენ თეოფილე ღლონტის დამწვარ დუქანს. (ყოფილი საბურავების შემკეთებელი ქარხნის ტერიტორია მ.ლ.)

ნასაკირალის მაღლობთან წარმატებულ ბრძოლაში ლაზარენკოს რაზმიდან დაიღუპა სულ 70 კაცი. გურულ რაზმელთა დანაკლისი კი მეტად მცირე იყო. მტრის ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა ერთი რაზმელი სოფ.ლიხაურის მკვიდრი ამბაკო სალუქვაძე. ჩვენს მხარეზე -აღნიშნულია ნასაკირალის შეტაკების მონაწილე, მოწყალების დის ანეტი მეგრელაძის მოგონებაში- ბრძოლის შემდეგ ცოტა აღმოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელთაც ჭრილობა მიეღოთ და საექიმო დახმარება დასჭირვებოდათ.

ნასაკირალთან ბრძოლაში დამარცხებული ლაზარენკო, როგორც საარქივო დოკუმენტებშია აღნიშნული, 31 დეკემბრიდან მან უარი განაცხადა თავისი მოვალეობის შესრულებაზე და სამსახურიდან გადადგომა ითხოვა. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულ ლაზარენკოს პატაკი ქუთაისის გუბერნატორისადმი მას დაწვრილებით აქვს აღწერილი ნასაკირალის ბრძოლის მიმდინარეობა. ოზურგეთიდან დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ ლაზარენკო აღწერს: ....."გზადაგზა დათვალიერებული იქნა მთელი ქედი, აღმოჩნდა, რომ ის საუცხოოდ იყო მომზადებული ჩასასაფრებლად, ქედის წვერზე გაკეთებული იყო თხრილები, როგორც გამოირკვა ეს იყო გაკეთებული ორი კვირით ადრე, ყველაფერი ისე მოხდენილად იყო გაკეთებული, რომ გზატკეცილიდან ტყვიების დაშენა შეიძლებოდა ყოველი მხრიდან და ჩვენზე, რომ თავდასხმა დღისით მომხდარიყო არცერთი ჩვენთაგანი ცოცხალი არ გადარჩებოდა. თხრილების გარდა, ქედის კალთებზე გზატკეცილის მხრით ამოთხრილი იყო სროლისათვის პატარა თხრილები. ავიყვანეთ რა ქედზე დაგდებული სტრაჟნიკი და კაზაკი ქედიდან მშვიდ-ობიანად დავეშვით. აქედან ერთი ვერსტის მოშორებით იწყება დვაბ-ზუს საზოგადოების ეზო-სახლები, ყველა სახლები დაცარიელებული იყო. კარები ღია, აღმოჩნდა, რომ ამ საზოგადოების მცხოვრებლებმა უდიდესი ბოროტება ჩაიდინეს. როცა სოფლად მიდიოდნენ ჩვენ მიერ გაგზავნილი 5 კაზაკი, მათ თავს დაესხნენ მცხოვრებნი და ერთი იქვე მოკლეს, მეორე დაჭრეს ეს დაჭრილი კაზაკს მიჰყავდა გზა-ტკეცილზე ,დანარჩენი ორი კი გაიქცნენ, რომ მიეღწიათ ოზურგეთში.

მანანა ლომაძე
ისტორიული მუზეუმის
ფონდების მთავარი მცველი
(გაგრძელება იქნება)

შოთა გოლიაძის ხსოვნას



შვიდი წელი გავიდა ბატონი შოთას გარდაცვლებიდან, რომელსაც დიდი სინანული, ტკივილი და მონატრება ახლავს თან. პირველი სექტემბერი ბატონი შოთას დაბადების დღეა, 90 წელი შეუსრულდებოდა სახელოვან მკვლევარს, დიდ პიროვნებას, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, რომელიც 53 წლის განმავლობაში მოღვაწეობდა ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში და ხელმძღვანელობდა სელექციისა და გენეტიკის განყოფილებას.

განუმეორებელი იყო ბატონი შოთა, როგორც მოქალაქე – თავაზიანი, გულისხმიერი, დარბაისლურად მოაზროვნე. იგი იყო შესანიშნავი ოჯახის თავკაცი, მზრუნველი მამა და მოსიყვარულე ბაბუა; ამავე დროს, თავის განყოფილებასა და თანამშრომლებზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. მისი ხელმძღვანელობით 20-მდე ასპირანტმა და მაძიებელმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

თქვენი ნათელი ხსოვნა, ბატონო შოთა, დიდხანს დარჩება თქვენი თანამშრომლების და აღზრდილების გულში,მაგრამ საწუხაროდ ზოგიერთი უკვე გარდაცვლილია, რომლებიც ჯერ კიდევ თქვენს სიცოცხლეში თვალცრემლიანმა გაცილეთ ამ ქვეყნიდან და ყოველთვის დიდი გულისტკივილით იგონებდით მათ.

გვჯერა, დღეს ყველა თქვენთანაა და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავენ დაბადების დღეს, იმ სიყვარულით, რომელიც თქვენ ჩაუნერგეთ თითოეულს. ჩვენც, აქეთ დარჩენილები გილოცავთ უბილეს და უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს თქვენი სული!

ცისანა ქაშაკაშვილი

მეუღლე ვალიეტა; შვილები კახა, ნინო ღლონტები; ძმა ზურაბი; სიძეები კვირიკე ხეცურიანი, ჯონი წამალაიძე; რძალი მანანა მარტიკოვი; შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმიშვილები, რძლები იუწყებიან იური პეტრეს ძე ღლონტის გარდაცვალებას.

პანაშვიდი 9.09 17 სთ. დაკრძალვა 10. 09 16 სთ. ს. მელექედური

ნოდარ დონაძის ოჯახი იუწყება **ლილი ვასაძე-ცინცაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ინგლისური ენის შემსწავლელი საბავშვო სტუდია „ABC"

იწვევს 5-8 წლამდე ასაკის ბავშვებს ინგლისური ენის შემსწავლელ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

სტუდია ფუნქციონირებს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში და სასწავლო პროცესს უძღვებიან ქართველი და ამერიკელი პედაგოგები. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

დაინტერესებულმა პირებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ

გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში

მისამართი: ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4 (კინოს გვერდით):

ტელ:599 15 63 84;

ელ-ფოსტა: gyrc.info@gmail.com



რ

გაქვადება

ავტომობილების გაქვადება 6-დან 36 თვემდე 2%-ში. ნებისმიერი ავტომობილი ამერიკის და იაპონიის აუქციონებიდან, წელი შეზღუდული არ არის, მოქმედებს შიდა უპროცენტო გაქვადება 3 თვით + გაცვლა

ტელ: 595 11 10 30 ზურა; 598 47 47 03 დათო

მისამართი: 26 მაისის ქ. №11, მე-2 საჯარო სკოლის გვერდით.

რ

საქართველო-შოტლანდია 1:0 - თითქმის ისევე, როგორც 8 წლის წინ

4 სექტემბერს, საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში შოტლანდიის ნაკრებს უმასპინძლა და მეტოქე მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა.

თბილისში, „დინამო არენაზე" გამართულ შეხვედრაში ერთადერთი გოლი ვაკო ყაზაიშვილმა 38-ე წუთზე გაიტანა. სტუმართა საჯარიმოში ბურთისთვის ბრძოლა ლევან მჭედლიძემ მოიგო და ვაკოს დაუგდო, რომელმაც მარცხენა ფეხით მეკარისგან შორეულ კუთხეში ზუსტად დაარტყა.

დარჩენილ დროში შოტლანდიის ნაკრები რიგ ეპიზოდებში ახერხებდა ბურთის გაკონტროლებას, თუმცა მატჩის ბოლო წუთებამდე ნუკრი რევიშვილის კართან რეალური სიმწვავე არ შეუქმნია. სტუმრებს გათანაბრების მეტ-ნაკლებად რეალური შესაძლებლობა ბოლო წუთებზე, სტანდარტული მდგომარეობების გათამაშების შემდეგ მიეცათ, თუმცა ჩვენდა საბედნიეროდ, ვერ გამოიყენეს.

აღსანიშნავია, რომ სქოთები უკვედ მეორედ ტოვებენ თბილისს გაწბილებულნი - 8 წლის წინათ, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებმა შოტლანდიის ეროვნული გუნდი ანგარიშით 2:0 დაამარცხა.

ეს კახა ცხადაძისთვის საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე პირველი გამარჯვებაა ოფიციალურ შეხვედრაში. საქართველოს ნაკრებს ევროშესარჩევის ჯგუფში ორი გამარჯვება აქვს, მომდევნო მატჩს კი სტუმრად ირლანდიის ნაკრებთან, 7 სექტემბერს გამართავს.

საქართველოს ნაკრებმა მატჩი ამ შემადგენლობით ჩაატარა: რევიშვილი, ლობჟანიძე, კვირკველია, კაშია, ამისულაშვილი, ნავალოვსკი, კანკავა, ყაზაიშვილი, ოქრიაშვილი (71, მერებაშვილი), ანანიძე (82, დაუშვილი), მჭედლიძე (90+3, ვაწაძე).

sportall.ge

რაც ყველამ უნდა ვიცოდეთ!!!

რატომ არ უნდა მოვწიოთ სიგარეტი?!

როგორც სამედიცინო მეცნიერება ამტკიცებს:

– ნიკოტინი ისეთივე ნარკოტიკია, როგორიცაა კოკაინი და ჰეროინი. ამიტომ, თამბაქო ადამიანთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი წამყვანი მიზეზია.

– საქართველოში სიგარეტის წევის შედეგად ყოველწლიურად 8-12 ათასი ადამიანი იღუპება, მსოფლიოში კი – 3-4 მილიონი.

– მომაკვდინებელ სიმსივნეთა 87%-ის გამომწვევი თამბაქოა.

– საშუალო ასაკის მამაკაცებს შორის, მწეველებში იმპოტენციის განვითარების რისკი 72%-ით მეტია, ვიდრე არამწეველებში.

– თუ თამბაქოს მოხმარებას 18 წლამდე ასაკში არ დაიწყებ, შენი შანსი – გახდე მწეველი, 70%-ით მცირდება;

საქართველოში თამბაქოს მასიურ მოხმარებას ბიჭები 10-11 წლის ასაკიდან იწყებენ, გოგონები კი – 12-13 წლის ასაკში.

საქართველოში მწეველ ქალთა რაოდენობა იმდენად მაღალია, რომ თუ ეს პროცესი სასწრაფოდ არ შეჩერდა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საშინელი კატასტროფაა მოსალოდნელი.

გარდა მძიმე დაავადებებისა, თამბაქო იწვევს პირიდან და თმიდან უსიამოვნო სუნს, თითებისა და კბილების გაყვითლებას. მწეველის ტანსაცმელს კი საფერფლის სუნი ასდის.

– არამწეველი ადამიანი, თუ მის გვერდით მყოფი თამბაქოს აბოლებს, სამედიცინო ტერმინოლოგიით, „პასიურ მწეველად" ითვლება, რადგანაც მას ნიკოტინით გაჟღენთილ ჰაერს შეისუნთქავს, რაც მის ჯანმრთელობაზე ძალზე ცუდად მოქმედებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით საშიში სიტუაცია იქმნება მაშინ, როცა ბავშვების გვერდით ეწევიან.

პატივცემულ მკითხველებს ვთხოვთ გაითვალისწინონ ყოველივე ეს და აუხსნან მწეველებს, დაარწმუნონ ისინი, როგორმე დაანებონ თავი ნიკოტინს, ხოლო არამწეველებმა (განსაკუთრებით ბავშვებმა) არც კი იფიქრონ თამბაქოზე საერთოდ.

აქვე გვინდა შეგახსენოთ ცნობილი პოეტისა და სარდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის ანეკდოტი აღნიშნულ თემაზე:

იგი არ ეწეოდა და მწეველი ძმაკაცები მასხრად იგდებდნენ: არ ეწევა ეს სულელიო! რაზედაც მგოსანმა ასეთი კაფიით უპასუხა:

„მე ჩიბუხისა წევითა,
ვერ გადავივლი მთასაო,
ბოლი რომ ასე მიყვარდეს,
ბუხარში შევყოფ თავსაო".

როლანდ თავაძე

7 დღის ამინდის პროგნოზი

7 სექტემბერი, ორშაბათი	8 სექტემბერი, სამშაბათი	9 სექტემბერი, ოთხშაბათი	10 სექტემბერი, ხუთშაბათი	11 სექტემბერი, პარასკევი	12 სექტემბერი, შაბათი	13 სექტემბერი, კვირა
მზე +18+32	მზე +20+30	მზე, ღრუბელი +17+26	მზე, ღრუბელი +21+28	ელ-ჭექი, +16+25	წვიმა +14+20	წვიმა +14+19